

უჩა ოქროპირიძე

სოფელ ზენითის ისტორიიდან

Ucha Okropiridze

From the history of the Zeniti village

Abstract: The paper presents some noteworthy moments from the history of the village of Zeniti in Kobuleti Municipality. here is narrated the old history of the possible establishment of some Families of the modern vil- lage, Based on the memoirs. The new material discusses some interesting aspects of the Russian-Turkish war of 1877-1878 in terms of Georgian historiography; For example, the battles near Tsikhisdziri and the special activities of the Kobuleti locals, the significant strategic importance of the village Zeniti in these battles, and the historically interesting events that took place here after the reunion this region with the homeland.

ზენითისა და მისი მისი მეზობელი სოფლების შესახებ, რომ- ლებიც კინტრიშის ხეობაში მდებარეობს, ცნობილი ქართველი ის- ტორიკოსის, დიმიტრი ბაქრაძის მეტად საყურადღებო ნაშრომში „კინტრიშის უბანი“ (ბათუმის ოლქში) [I:157-177], ვკითხულობთ: „კინტრიშის უბანი განაწილებულია 18 სოფელში, რომელთა- გან ქვემო ზოლში მოქცეულია: ლეღვა, მდინარე ოჩხამურზე, გვარა, ალამბარი და აჭყვისთავი – აჭყვაზე, ქაქუთი, ქაქუთის წყლის მარცხენა ნაპირზე, ქობულეთი კინტრიშზე კინტრიშის შესართავთან; ყველა დანარჩენები განლაგებულია კინტრიშის ხეობაში. აქ სოფლების უმრავლესობას, სივინროვისა და მოხ- ერხებული სამოსახლოების უკმარისობის გამო, აქვს თავიანთი განსახლებები, რომლებიც შედგება რამდენიმე კომლისაგან და ისინი გამოყოფილი თავიანთი სოფლებისაგან განლაგებულნი არიან მათგან მოშორებით: მაგალითად **ტყემაკარავს** აქვს თავისი განსახლებანი **ვარჯანაული და კობალაური, ქობულეთს – კოხი და კონდიდი** (ქობულეთსა და ალამბარს შორის), **აჭყვისთავს – ზენითი, დიდვაკეს – მესხიქედი და გორა, ზემო ხინოს – ქათამ- ური, გოგოური და წერაქვეთი, ზერაბოსელს – ჭიკვარაული, ლეღვას – წყავროკა, სკურა, ჩხეხდანა, ქაქუთს – გოგმაჩაური, დავვას ციხისძირის მახლობლად – ახალჯამე.** საერთოდ, **კინ- ტრიშის უბანი** ძველთაგანვე ცნობილია ორი თემის სახელწო- დებით: **ხინო და ქობულეთი. ხინოს თემში** შედის 6 სოფელი – **ჭახათი, ტყემაკარავი, ცხემლოვანი, ზერაბოსელი, დიდ-ვაკე და ბაშ-ხინო, ანუ ზემო ხინო.** ხოლო ქობულეთის თემში შედის დარჩენილი 12 სოფელი: **ქაქუთი, აჭყვისთავი, ალამბარი, ხუცუ-**

ბანი, ლელვა, ქობულეთი, სამება, კვირიკე, ბობოყვათი, დაგვა და გვარა. სხვათა შორის, გვარა, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს: მისი მცხოვრებლები 1878 წლის აგვისტოში თურქების უკან დახვევის დროს გადასახლდნენ, II კომლის გარდა, და ამჟამად ის შეერთებულია ხუცუბნის საზოგადოებასთან – აღნიშნულია დოკუმენტში [1:163].

აქვე მოცემულია კინტრშის უბნის სოფლებისა და მათში მოსახლე კომლთა და მცხოვრებ მამაკაცთა რაოდენობის ამსახველი ცხრილი, რომელშიც სოფელი ზენითი მოხსენებული არ არის და როგორც სოფელ აჭყვისთავის განსახლება, მის შემადგენლობაში უნდა ვიგულისხმოთ; სოფელ აჭყვისთავში კი მითითებულია 50 კომლი 137 მამაკაცი მცხოვრებით, რომელთაც ამდენივე მდებარებითი სქესის წარმომადგენელთაც თუ დავუმატებთ, მივიღებთ აქ მცხოვრებთა საშუალო რაოდენობას 274 სულს, რაც კომლზე საშუალოდ 5.4 სულს შეადგენს. მაგრამ იმავე ნაშრომში დ. ბაქრაძეს მოტანილი აქვს ბათუმის სამხარეო მმართველობის 1878 წლის 20 დეკემბერს გუბერნატორისათვის წარდგენილი მასალები, რომელშიც აჭყვისთავისა და ზენითის მონაცემები უკვე ცალ-ცალკეა დაფიქსირებული და შეადგენს – აჭყვისთავის – 113 კომლზე 604 მამაკაცს, ხოლო ზენითის 41 კომლზე 167 მამაკაცს [1:163-164]. მათ თუ დავუმატებთ ამდენივე რაოდენობის მდებარებითი სქესის წარმომადგენლებს, მივიღებთ, რომ 1878 წლის მიწურულს აჭყვისთავში ორივე სქესის დაახლოებით 1210 სულამდე მოსახლეს უცხოვრია, ხოლო ზენითში – 340-მდე მცხოვრებს.

როგორც ჩანს, პირველ ცხრილში მოტანილი მონაცემები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდის მოცემულობას ასახავს, როდესაც აქ მიმდინარე საომარო ოპერაციების გამო სოფლის მოსახლეობა გაქცეული და მიმოფანტული იყო; 1878 წლის ბოლოსთვის კი, ისინი უკვე დაბრუნებული იქნებოდნენ თავიანთ საცხოვრისზე და ამიტომაც, ამ დროინდელი ცნობა უფრო რეალური და სანდო უნდა იყოს. ჩვენს ამ მოსაზრებას ამტკიცებს რუსი სამხედრო კორესპონდენტის ალ. ფრენკელის მონაცემებიც, რომ სოფელ ზენითში აღრიცხულია 41 კომლი 167 მცხოვრებით (მამაკაცით – უ. ო) [2:13]. ამიტომაც, ამ ფონზე სრულიად არადამაჯერებლად გამოიყურება 1891 წელს თბილისში გამოცემულ კრებულში „ქართველი მაჰმადიანები კინტრშის ხეობაზე“, დაფიქსირებული ცნობა, რომ თითქოს მუჰაჯირობის პერიოდში სოფელ ზენითიდან თურქეთში გადასახლდა 40, ხოლო ადგილზე დარჩა მხოლოდ 15 კომლი [3:17]. პირიქით, როგორც

ორი წინა წყაროდან გაირკვა, ზენითში ამ დროს ყოფილა 41 კომლი 340-მდე მცხოვრებით.¹

უფრო ადრეულ, თურქეთის მფლობელობის დროინდელ, 1835 წლის ჩურუქ-სუს სანჯაყის მამაკაცთა აღწერის დავთრის მონაცემებში სოფელი ზენითი მოხსენებული არ არის, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და როგორც სხვა მონაცემებიდანაც ჩანს, იგი იმ პერიოდშიც აჭყვისთავის თემის განსახლებად ითვლებოდა და გარკვეულ დრომდე მასთან ერთად აღირიცხებოდა. ამასვე ადასტურებს ზენითელი სულხან გიორგაძის მიერ ჩემთვის, დროებით გამოყენებისათვის, გადმოცემული საოჯახო არქივში დაფიქსირებული სოფელ აჭვისთავის მუხტართა მიერ ბატონ სულხანის წინაპრებზე გაცემული რამდენიმე დოკუმენტური ცნობა, რომლებიც იმ დროინდელი ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს მოიცავს [8; 9].

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ზაზა შაშიკაძის მიერ თარგმნილი – „1835 წლის ქობულეთის აღწერის ოსმალური რეესტრი“-სა და ჩემთვის თურქეთიდან გამოგზავნილი დოკუმენტების მონაცემები² აღნიშნულ საკითხზე თითქმის სრულიად იდენტურია; მათში 1835 წლის ჩურუქ-სუს სანჯაყის აღწერისას აჭყვისთავში აღრიცხულია 75 კომლი 240 მამაკაცი მცხოვრებით [11], რაც კომლზე დაახლოებით 3.2 მამაკაცს შეადგენს. კომლზე ამდენივე მდედრობითი სქესის წარმომადგენელს თუ ვიგულისხმებთ, სოფელ აჭვისთავში საშუალოდ 480 მცხოვრები გამოდის (კომლზე 6.4 სული). თუ დავუშვებთ, რომ 1835 წლისთვის სოფელ ზენითში 30 კომლი მაინც ცხოვრობდა, მაშინ მის მცხოვრებთა რაოდენობა 190-დან 200 სულამდე მაინც უნდა ვიგულისხმოთ, რაც მოსახლეობის შემდგომი დინამიკისთვისაც სრულიად მისაღებია.³

სოფელ ზენითის მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს თვით ზენითელების ხსოვნაში შემორჩენილი თქმულება-გადმოცემები თუ მოგონებები.

სოფელ ზენითის კოლმეურნეობის სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ანზორ ქათამაძე იგონებს, რომ „როგორც წინაპრებისაგან გამიგონია, თურქების შემოსვლამდე სოფელი ზენითი საკმაოდ ხალხმრავალი დასახლება ყოფილა. მაგრამ გაჩენილა შავი ჭირი, რის გამოც მისი მოსახლეობა სოფლიდან

¹ 8.2 სული საშუალოდ კომლზე – უ. ო.

² ლათინური შრიფტით, ძველ ოსმალურ ენაზე.

³ 41 კომლი და 340 სულამდე მცხოვრები 1878 წლის ბოლოსათვის.

გაქცეულა და სოფელი დაცლილა. გასულა წლები და სოფელს კვლავ დაუნყია მოშენება. ამ დროს პირველი ზენითში მოსულა და დასახლებულა გიორგაძე ვაკიჯვარიდან. მერმინდელი, ანუ მას შემდეგ მოსულები არიან მჭავანაძეები (იმერეთიდან) და გოგიტიძეები გურიიდან, კერძოდ კი, სოფელ აკეთიდან; ძველი გვარია ზენითში ბერიძეც, მაგრამ დღეს ერთი ოჯახის გარდა აღარაა შემორჩენილი.

გიორგაძის მოყვანილია ზენითში ღლონტები, ჭანტურიშვილები. ბაუჟაძეები ჩამოსული არიან კინტრიშის ხეობის სოფელ კობალავრიდან, ჯერ ლელვაში, შემდეგ კი ზენითში, სადაღაც 200-250 წლის წინ და ისინიც ზენითის ერთ-ერთი უძველესი მოსახლენი არიან. ქათამაძეები ჩამოვიდნენ ხინოდან (დიდვაკე), ბოლქვაძეები კი ღორჯომიდან ჩამოიყვანა მევლუდ ქათამაძემ⁴ – ამბობს ბატონი ანზორი.

სოფელ ზენითში ძველთაგანვე გავრცელებული გვარების შესახებ საინტერესო ისტორიებს მოგვიყვანა ამ სოფლის მკვიდრი, განათლებული პიროვნება და ცნობილი სამეურნეო მუშაკი რეზო ხუსეინის ძე ბაუჟაძე. ბატონი რეზო ამბობს, რომ „ბაუჟაძეების გვარი სათავეს იღებს XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან. გადმოცემის მიხედვით, მათი წინაპარი საჩხერიდან, გვარად იამანიძე ყოფილა, რომელსაც სახელად კობა რქმევია. მას ყოლია 2 ვაჟი და ქალიშვილი. სწორედ, ამ ორი ვაჟის ნამრავლია ბაუჟაძეთა გვარის ყველა წარმომადგენლები. ისინი ისტორიული ძნელბედობის პერიოდში კინტრიშის ხეობაში გადმოსახლებულან და მათი წინაპრის სახელის მიხედვით, რომელსაც კობა ერქვა, დასახლები-სთვისაც კობალაური დაურქმევიათ.

ზენითის ბაუჟაძეები აქ (ზენითში – უ. ო.) გადმოსულნი არიან სოფელ ლელვადან, სადაც ისინი კინტრიშის ხეობიდან ადრე ჩასახლდნენ. „ეს უნდა მომხდარიყო სადაღაც XIX საუკუნის შუა ხანებში“ – ამბობს ბატონი რეზო და შემდგომ განაგრძობს: „ვინც სოფელს პატრონობდა და აქ ძველთაგანვე მიწებს ფლობდა, იყო სამი გვარი. თავდაპირველად ზენითში დასახლებულან გიორგაძეები, რომლებსაც ჩასიძებიან ღლონტები; შემდეგ მოსულან მჭავანაძეები, გოგიტიძეები და ჭანტურიშვილები. ჭანტურიშვილები მუჰაჯირობის დანყებამდე დიდი ხნით ადრე საცხოვრებლად გადავიდნენ თურქეთში და აქ მათი კუთვნილი მამულები შეიძინეს ბაუჟაძეებმა, რომლებიც აღნიშნული ჭანტურიშვილების ახლო ნათესავეები იყვნენ.“⁵

⁴ ვეფხვია ქათამაძის დიდი ბაბუა.

⁵ ბიძაშვილ-მამიდაშვილები ყოფილან ერთმანეთის – რ. ბაუჟაძე.

„რაც შეეხება ქათამაძეების გვარის ზენითში მოსვლას, გამიგონია ასეთი ისტორია“, – ამბობს ბატონი რეზო ბაუჭაძე – „როდესაც ჯერ კიდევ მძლავრად იყო ფეხმოკიდებული საქართველოში ტყვეთა სყიდვა, ბავშვი მოსტაცეს ზაბით გოგიტიძის წინაპარს, რომლის კვალსაც იგი გამოედევნა და გადავიდა ზემო აჭარის სოფელ ჭვანაში, სადაც მისი მასპინძელი აღმოჩნდა გვარად ქათამაძე. აღნიშნული ოჯახის უფროსი წარმომადგენელი მდევარს შეჰპირდა მოტაცებული ბავშვის მონახვას და მისთვის დაბრუნებას, რაც ორ დღეში აღასრულა კიდევ. გახარებულმა გოგიტიძემ ქათამაძეთა ამ ოჯახის უფროსს მადლიერების ნიშნად შესთავაზა, ერთ-ერთი ვაჟის მისთვის გამოტანება და მისგან შვილად მიღება, რომელსაც იგი უპატრონებდა, უზრუნველყოფდა მამულით და სათანადო ყურადღებით, რაც აღასრულა კიდევ. ზენითის ქათამაძეები ძირითადად მისი შთამომავლებია“ – ამბობს მთხრობელი.

ზენითელი ნუგზარ ქათამაძის ნაამბობსაც თუ ვერწმუნებით, მისი ზენითელი ეთნარქი, დიდი ბაბუა ყესტი ქათამაძე მისი სამოსახლოს დღევანდელ ადგილზე დასახლდა 1726 წელს და ყველა ზენითელი ქათამაძე, მათი უძველესი ოჯახის განაყოფია, რაც წინა მთხრობელის მიერ გადმოცემულ ისტორიასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ზენითის უფრო ძველი გვარები, ამ თარიღზე (1726 წ.) უადრეს უნდა შემოსულიყვნენ სოფელ ზენითში.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ თქმულება-გადმოცემები ხალხის ხსოვნაში დაღეჭილი სულიერი პრიორიტეტების და აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მახასიათებელია ამა თუ იმ ხალხის სულიერი რაობის გასარკვევად. იგი ჭეშმარიტი მაჩვენებელია ამ ხალხის ოცნებათა და მისწრაფებათა მიმართულებისა, ასახავს მის რეალურ შინაგან განწყობილებას და აქედან გამომდინარე, გავლენას ახდენს, როგორც ერის გარეგნულ ჰაბიტუსზე, ისე მისი უმნიშვნელოვანესი თვისებების ჩამოყალიბებაზე.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ზენითელთა ხსოვნაში შემონახული თქმულება-გადმოცემანი, რომელიც აქ მოვისმინე: პირველია, იმავე ანზორ ქათამაძის მიერ მოთხრობილი ამბავი, რომელიც მას, თავის მხრივ, მისი წინაპრებისაგან მოუსმენია. მასში ნათქვამია, რომ როდესაც რუსეთის ჯარი ქობულეთის მხარეში შემოიჭრა და ბათუმისაკენ გზის გასახსნელად ციხისძირის ასაღებად გააფთრებული ბრძოლები დაიწყო, სოფელ ზენითისა და მახლობელი მიდამოების მაჰმადიანი მამაკაცების

მნიშვნელოვანი ნაწილი, მაშინდელი რუსეთ-ოსმალეთის საზღვრისაკენ „მტერთან“ საბრძოლველად დაიძრა. მაგრამ, სულ ცოტა ხანში, როდესაც ცხადი გახდა და ამ მხარის დედა-სამშობლო საქართველოსთან დაბრუნების რეალური შესაძლებლობა გამოიკვეთა,⁶ ისინი ზენითელი კომახიდის მეთაურობით, უკვე ოსმალთა წინააღმდეგ გამოვიდნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს მათთან გამართულ ბრძოლებში. ბატონი ანზორ ქათამაძის აზრით, სწორედ ქობულეთელებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი ამ რეგიონის სამშობლოს წიაღში დასაბრუნებლად ბრძოლაში.

ზენითელი, 90 წელს მიღწეული ჯვედეთ ქათამაძეც დიდ სიამაყით იგონებს მისი წინაპრების მიერ გადმოცემულ ამბავს, რომ ოსმალთა მფლობელობის პერიოდში ზენითელების რძალმა, აიშე მიქელაძემ, რომელიც ერთ-ერთი აქაური ბაუჟაძის ცოლი ყოფილა, სოფელ ზენითში ხარკისა და გადასახადების ასაკრეფად შემოსული ოსმალები ცოცხით გადადენა. იმისთანა „ფინთი“ ქალი იყო, სოფლის ბოლომდე მისდია გაკვირვებულ თურქებსო“ [4:263-269].

ამავე ოჯახის შვილების – ციური, ასლან და ჯემალ ქათამაძეების მეშვეობითა და დახმარებით ვცადეთ გაგვეკეთებინა სოფელ ზენითის თითქმის ყველა უბანთა თუ სხვა სახელდებულ ადგილთა ჩამონათვალი. ესენია: ღელე, ქვეშაური, დენაურა, სახმობელა, გორსომანი (ბასეინი), გოსრომალი (ბაუჟაძეების სასაფლაოების მიმდგომი ტერიტორია), სასირე (რეზო და სულიკო ბაუჟაძეების კარმიდამოს შორის) და ნაჯიხურალი (მისი გაგრძელება კატის ციხისკენ – რ. ბაუჟაძე), ჯამე, ცენტრი, ორღელა, იქვეა ნაჯამვარი, კოშარაული, კონცხა, მემედაური (ავთო ბოლქვაძის, მუსასა საცხოვრებელი), ჯვარი, დუდი (ჯვარიდან ზენითის გადასახედამდე), ბაგნარაი (ოსიკო ხახუტაიშვილის სახლს ზემოთ), ეკნარაი (ჭახათის საზღვარი), კვიჭიტაური (მიხა ქათამაძისა და რეზო მჟავანაძის სახლს ზემოთ), ცარაი (ეკნარასთან მისვლამდე, ახლა ჯემალ ქათამაძის მამულია), ცხემნარაი (ეკნარას ქვემოთ), გოხიდის მინდორი (ლეონტის სახლის ქვეშ), მის ქვემოთ მუხნარაი, წიპნიპაის წყარო (მერაბ ქათამაძის სახლის ქვეშ), აქვეა ნაფეტვარაი, მჟავაძეების წყარო (სახმობელას ქვეშ, ახლა ბეჟან ბოლქვაძის სახლის მიმდებარედ, გზის პირას), ბაუჟაძეების წყარო (პავილიონთან), გიორგაძეების წყარო (სულხან გიორგაძის სახლთან) და ა. შ.

რუსი სამხედრო კორესპონდენტი ალ. ფრენკელი, საუბრობს რა ბათუმის ოლქსა და მის მცხოვრებლებზე, ამბობს: ბათუმის

⁶ მურად კომახიდის ნაამბობი – ა. ქათამაძე.

ოლქი თურქების დროს დანანილებულ იყო 7 მხარედ, ანუ ნაჰიედ: ბათუმის, ჩურუქ-სუს (ქობულეთის), ზემო-აჭარის, ქვემო-აჭარის, მაჭახლის, ლივანის (ართვინის) და გონიოს... [2:4], შემდეგ კი მის მცხოვრებთა შესახებ აღნიშნავს: აქ საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ბათუმის ოლქის მცხოვრებლებზე და რა თქმა უნდა, მისი ნაჰიების მოსახლეობაზე: **ჩურუქ-სუსა და ბათუმისა**. გაზეთებში ბევრი ლაპარაკი იყო ლაზებისა და ლაზების აჯანყების შესახებ, ავტონომიაზე, რომელსაც თითქოსდა ლაზები მოითხოვენ; გარდა ამისა ამ ადგილებში, სადაც თითქოს მოსალოდნელი იყო წინააღმდეგობა მცხოვრებთა მხრიდან, „არავითარი ლაზები არ არსებობენ!“ მთელ მხარეში, რომელიც რუსეთს გადაეცა ამ ომის შემდეგ, შეიძლება დათვალო რამდენიმე ასეული ლაზი, რომლებიც ცხოვრობენ ჭოროხის გადაღმა. **დანარჩენი მოსახლეობა შედგება ქობულეთელებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ ჩურუქ-სუსა და ბათუმის კაზებში**, აჭარლების, რომლებიც ცხოვრობენ აჭარაში, შავშეთში და ა. შ. და ლაზების მცირე რიცხვი, მცხოვრებნი გონიოსა და სხვა კაზებში...[2:8] **რაც შეეხება ბათუმის მაზრის, ანუ კაზის მცხოვრებლებს, ე. ი. ბათუმისა და ჩურუქ-სუს ნაჰიებს, ის მთლანედ დასახლებულია ქობულეთელებით, რომლებიც სხვა არაფერ არიან, თუ არა გურული წარმოშობის ქართველები**. ამასთან ამავ კაზაში ვხდებით მცირე რაოდენობით სომხებს, ბერძნებს, ჩერქეზებს, უფრო კიდევ მცირერიცხოვან ქურთებს და ყველაზე ნაკლებად თავად ლაზებს [2:8].

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ციხისძირთან ბრძოლებში ქობულეთელთა მიერ შესრულებული როლის შესახებ რამდენიმე სიტყვა ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ზენითელთა მოგონებებშიც ითქვა, მაგრამ მისი უფრო სრული სურათის წარმოსაჩენად საჭიროდ ვცანით ამის შესახებ თვით ამ ბრძოლების მონაწილე თუ მათი აღმწერი რუსი ავტორების მოსაზრებათა მკითხველისათვის ფართოდ გაცნობა, რათა მან თავად გამოიტანოს სათანადო დასკვნები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის არმიის ოფიცრების ფ. არუთინოვისა [6] და ბ. კოლიუბაკინის [7] ნაშრომები.

ფ. არუთინოვის ნაშრომში „გომბორელები“ ვკითხულობთ: **„ბათუმი, რომელიც შეადგენდა ჩვენი რაზმის სამიზნეს, მდებარეობს საზღვრიდან 50 ვერსზე (50 კმ-ზე მეტი – უ. ო.), მაგრამ ეს უმნიშვნელო მანძილი, როგორც აღმოჩნდა, იქ მდებარე უღრანი ტყეებითა და ჩვენდამი მტრულად განწყობილი მოსახლეობით იყო სავსე... ქობულეთელებს უნდა ეთამაშათ მათი (ოსმალთა – უ. ო.) მონინავე ძალების როლი, ჩვენი რაც შეიძლება დასუსტების მიზნით, იმდენად, რომ იერიში ვერ მიგვეტანა ციხისძირზე.“** [6:347-348]

„გაცივა თუ არა ბრძანება,⁷ გაისმა რამდენიმე თოფის ზალპი: ქობულეთელებმა, როგორც ჩანს, საფარდანი მოკლეს ერთი და დაჭრეს მეორე მხედარი ქუთაისის ცხენოსანთა რეგულარული პოლკიდან, რომლებიც დასაზვერად წინ იყვნენ გაგზავნილნი... ავანგარდს ევალეობდა ქობულეთელების გაყრა ლელვას სიმაღლეებიდან, მუხანესტატესაკენ გაჭრა და ამ გამაგრებული პუნქტის დაკავება... ხეებს ამოფარებული ქობულეთელები ისროდნენ საშინელი სისწრაფით მჭიდრიანი თუ სხვა სწრაფ დამტენი იარაღიდან⁸ [6:349 სქოლიოში], რომლებითაც თურქებმა ისინი კარგად მოამარაგეს... ბატალიონი, მესანგრეებთან ერთად, გადავიდა შეტევაზე და ქობულეთელები გააძევეს ლელვას სიმაღლეებიდან... [6:349]. გამოიყო პოლკოვნიკ ყაზბეგის მფრინავი კოლონა, რომელსაც მუხანესტატეს დაკავებისას ურთიერთ სროლები ჰქონდათ ქობულეთელებთან... მათ ხშირად აწუხებდათ ქობულეთელთა მცირე ჯგუფები... [6:350] თუმცა ეს მოძრაობა ასეულთა მიერ შესრულდა მოხერხებულად და სწრაფად, მაგრამ ის შესრულდა ქობულეთელთა ძლიერი ცეცხლის ქვეშ, ამან გამოიწვია საგრძნობი დანაკარგები... ქობულეთელებმა ვერ გაუძლეს (შეტევას – უ. ო.), მიატოვეს თავიანთი საკმაოდ კარგად გამაგრებული სიმაგრეები და ხუცუბნის სიმაღლეებს მიაშურეს [6:352].

29 აპრილამდე⁹ ჩვენ საქმე გვქონდა მხოლოდ ქობულეთელებთან... ქობულეთელების რიცხვი, როგორც მზვერავებმა გადმოგვცეს, 4000-ზე მეტს აღწევდა... რაზმის მოძრაობის საერთო მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მდინარე კინტრიშის სიმაღლეების, ე.ი. სამებისა და ზენითის დაკავებით ადგილობრივი მოსახლეობა გამოეყოთ თურქების ჯარისაგან, რომელსაც ციხისძირი ეჭირა... ამით ჩვენ ქობულეთელებს მოვუსპეთ ყოველგვარი საშუალება მიეღოთ რაიმე ღონისძიება ჩვენს წინააღმდეგ, ამასთან ჩვენს მხარეზე გადმოსვლის შემთხვევაში, გავათავისუფლეთ თურქებისაგან მოსალოდნელი შურისგების შიშისაგან.

მესანგრეები, რომლებიც მდინარე კინტრიშზე ხიდებს აგებდნენ, მოქცეულნი იყვნენ ქობულეთელთა ქოხებიდან, მდინარე კინტრიშისა მარცხენა ნაპირზე, თუმცა შორეული, მაგრამ მაინც

⁷ 1877 წლის 12 აპრილს – უ. ო.

⁸ ქობულეთელები შეიარაღებული იყვნენ სნაიდერის, ნიბოდის და ვინჩესტერის თოფებით – უ. ო.

⁹ სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან 12 აპრილიდან 29 აპრილამდე, ანუ სრული 17 დღის განმავლობაში – უ. ო.

მომაკვდინებელი ცეცხლის ქვეშ. მარცხენა ფრთის დაცვის მიზნით, ქობულეთელებზე ცეცხლის გახსნას, წარმატება არ ჰქონია, ნაკლები სიზუსტისა და ტყვიების სუსტი დამანგრეველი ძალის გამო, რომელიც ვერ აღწევდა ქობულეთელთა ქონების დაფის მაგვარ კედლებში...[6:355]

... ჩვენმა მარცხმა ციხისძირთან ძლიერ აამაღლა ქობულეთელების სულისკვეთება და თავდაჯერებულობა. მათი შეუპოვრობა საოცარი გახდა. როგორც ჩანს, მათ სურდათ თურქების კეთილგანწყობა მოეპოვებინათ, რომლებიც მზად იყვნენ დაესაჯათ ისინი სულ ახლახან გამოჩენილი ჩვენი ერთგულებისათვის. **ახლა უკვე აღარ არსებობდა ჩვენი ერთგული ერთი ქობულეთელიც კი.** ისინი გვაიძულებდნენ ჩვენ ყოველთვის გვჭეროდა ძლიერი სადარაჯო საგუმაგოები“ [6:361] და ა.შ. და ა.შ.

ნაშრომში აქაც ხაზგასმულია სოფელ ზენითის სიმაღლეების სტრატეგიული მნიშვნელობა და დანიშნულება, მაგრამ ამის შესახებ უფრო დანვრილებით აღნიშნავს სამხედრო ისტორიკოსი, პროფესორი ბ. კოლიუბაკინი, როდესაც ამბობს: „... მეოთხე ხაზი მიემართება მდინარეებს აჭყვასა და კინტრიშს შორის, კრავს და აკონტროლებს რა მთელ გზებს, ბატონობს სანაპირო ზოლზე¹⁰ და წარმოქმნის ხუცუბნის, ზენითისა და კონდიდის ზეგანსა და ტყიან სიმაღლეებს, რომელიც წარმოადგენს თვით ბათუმში, თუ იქედან უკან მომავალ გზაზე საომარ მოქმედებათა სისტემის მეორე პოზიციას, მნიშვნელოვნად უფრო ძლიერს, ვიდრე მუხაესტატესია. ეს პოზიციები, აღწერილი კომპანიის დროს ორჯერ გადავიდა ხელიდან-ხელში, ვიკავებდით და ვიცავდით ხან ჩვენ, ხან თურქები“ [7:36].

სხვათა შორის, ბ. კოლიუბაკინიც აღნიშნავს, რომ „გზა... გადიოდა ადგილებზე, რომელიც დასახლებული იყო ძალიან მამაცი და მოყაჩაღო ქობულეთის მოსახლეობით...“ [7:38] და იგი იქვე იმასაც ამბობს: „ქობულეთის ყველა მცხოვრები სუფთა ქართული წარმოშობისაა და ოდესღაც თავდადებული ქრისტიანებიც იყვნენ, ახლა კი დაკარგეს რა წინაპართა სარწმუნოება, ერთგული მუსლიმანები არიან. ქობულეთელებმა სხვა ყველაფერში შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნება, ადათ-წესები, თავისუფლების სიყვარული და სამხედრო საქმისადმი დიდი მისწრაფება.“ [7:38-39]

„1877 წელს ქობულეთის მოსახლეობა 9000 სულს ითვლიდა,“
– ამბობს კოლიუბაკინი, – „და ძირითადად თავმოყრილი იყო

¹⁰ იგულისხმება შავი ზღვის სანაპირო ზოლი – უ. ო.

მდინარეების აჭყვასა და კინტრიშის ორივე მხარის ნაპირებზე ფართოდ განსახლებულ საკარმიდამოებში. სოფლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: **ლელვა, ზემო გვარა, ალამბარი, ზენითი, აჭყვისთავი, სამება, სუცუბანი, ზედა ქობულეთი, კვირიკე, დაგვა, ცხისსიძირი, პატარა დაბა ქობულეთი, ანუ ჩურუქ-სუ და სხვა.**

ქობულეთის ცხოვრება მიმდინარეობდა არა სახელმწიფოებრივი გავლენის, არამედ თვითნებობისა და აქ ფესვგადგმული ძველი ველური ადათ-წესებისა გავლენის ქვეშ. თვით ბუნება, არ უშვებდა რა კულტურის განვითარებას, ხელს უწყობდა მათში ზნეობის ველურობას. უღრანი, გაუვალი ტყეები, რომლებშიც ქობულეთელები ცხოვრობდნენ, უფრო ავითარებდა ვნებებს ადვილი ცხოვრებისაკენ, ვიდრე მუდმივი შრომისაკენ. აქ გამეფებულ ზნეობის ველურობას ქობულეთელი გამოყავდა საუკეთესო მონადირედ და, უფრო საუკეთესო მძარცველად, ზღვისა და საზღვრების სიახლოვემ, მათგან ჩამოაყალიბა მამაცი კონტრაბანდისტები... როგორც ორი საუკუნის უკან, ქობულეთელი დარჩა ველური, მეომარი, მტაცებელი, მკაცრი და ყოველივე უცხო მოძულე, თურქების ჩათვლით, რომელსაც ითმენს მხოლოდ საერთო სარწმუნოების გამო. ადათები, საყვარელი საქმიანობა, მუდმივი საშიშროებით აღსავსე უღრანი ტყეები, მას საშუალებას არ აძლევს, მოიშოროს იარაღი.“ [7: 39]

როგორც ვნახეთ, დ. ბაქრაძის ნაშრომიდან, ჩვენს მიერ აქ მოტანილ მასალაში სოფელი **ზენითი** სოფელ აჭყვისთავის განსახლებად არის წარმოდგენილი, ხოლო პროფესორი ბ. კოლიუბაკინის ზემოთ მოყვანილ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ისტორიაში, ზენითი ამ ომის ქობულეთის უბნის განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან სოფლად არის წარმოდგენილი და რამდენიმე მსგავსი დანიშნულების სოფელთან ერთად ცალკეა დასახელებული. ეს, აღნიშნულ ომში, მისი სტრატეგიული დანიშნულებით და აქ გადახდილი ფიცხელი ბრძოლებით უნდა აიხსნას, რომლის დროსაც **ზენითის პოზიციები ხელიდან-ხელში რამდენჯერმე გადასულა.** ამასთან, აღვნიშნავთ, რომ თუმცა ავტორს შეუნიშნავს ქობულეთელებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე შტრიხი – მათი სიმამაცე, სიმკაცრე, მოსული ელემენტისათვის უნდობლობა და სხვა. მაგრამ რეგიონში „განმანათლებელი“ მისიის შემოტანაზე პრეტენზიის მქონეს, მათი ველურებად მოხსენიებაც არ ავიწყდება; მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, **ეს ხდება იმიტომ, რომ რუსების „განმანათლებლური მისიისადმი“ ქობულეთელთა სასტიკი წინააღმდეგობა, რომელმაც მათ ცხისსიძირთან ბრძოლებში კისერი ორჯერ მოატეხინა**

და დამარცხებული უკუაგდო, რამენაირად გაამართლოს და ქობულეთელებსაც, ამ ფორმით, ანგარიში გაუსწოროს.

მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ იმ მომენტისათვის, ის მამაცი 4000 ქობულეთელი,¹¹ სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, რადგან თუ იმ დროს მათი სიუზერენი ოსმალეთი გაიმარჯვებდა, მათ და მათ ოჯახებს სასტიკი შურისგება და განადგურება ელოდათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ომში ქობულეთ-ჩურუქსუს მფლობელი ბეგები, ოსმან და ალი თავდგირიძეები ოსმალეთის ორიენტაციის ერთგული მსახურები იყვნენ და როგორც უმაღლესი რანგის სამხედრო მეთაურები, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ; თუმცა ცნობილი ფაქტია ისიც, რომ იყვნენ რუსული ორიენტაციის ქობულეთელებიც, რომლებიც ყურშუმ-ალა ჭყონიას მეთაურობით 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ გურიაში გადავიდნენ, სადაც რუსეთის არმიის ნაწილებს შეუერთდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში.

ბერლინის ტრაქტატით ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთების შემდეგ, აღნიშნული ოლქის გენერალ-გუბერნატორთან არსებულ მმართველ მეჯლისში ქობულეთიდან წარმოდგენილ ოთხი პიროვნებიდან – დედე-ალა ნიჟარაძე (ალამბარი), რეშტი ბაჯელიძე (ხუცუბანი), კარხიმან მჟავანაძე და ხუსეინ ბაუჟაძე, ეს ორი უკანასკნელი ზენითელი იყო, რის შესახებ ცნობები მოგვანოდეს რეზო ბაუჟაძემ, იზო და ანზორ (მურკა) მჟავანაძეებმა, ხოლო ფოტოსურათი, რომლებშიც ისინი ბათუმის პირველ გენერალ გუბერნატორ, კონსტანტინე კომაროვთან და მასთან არსებული მეჯლისის წევრებთან ერთად არიან დაფიქსირებული, მოგვანოდეს ზენითელი ისმაილ მჟავანაძის ძველი ოჯახიდან.¹²

XIX საუკუნის 80-იან წლებში სოფ. აჭყვისთავის მუხტარი (მამასახლისი) ყოფილა ზენითის მკვიდრი ხასან-ალა გიორგაძე, რაც კიდევ ერთხელ ირიბად ადასტურებს, რომ სოფელი ზენითი აღნიშნულ პერიოდში აჭყვისთავის თემის სამმართველოში შედიოდა და მის განსახლებად ითვლებოდა [8]. ამასვე ადასტურებს ამავე არქივიდან 1913 წლის 13 თებერვალს უკვე სულეიმან გიორგაძის სახელზე გაცემული მონაწილეობა, რომლის მიხედვითაც მას რომანოვების სამეფო სახლის 300 წლისთავთან დაკავშირებით, ეძლევა ბრინჯაოს მბზინავი სამახსოვრო მედლის მკერდზე ტარე-

¹¹ 5000 – უ. ო. [12]

¹² ნანი გუნთაიშვილი-მჟავანაძისა, ზაზა და გია მჟავანაძეები

ბის უფლება, რაც რუსეთის იმპერიაში აღნიშნული პიროვნების მაღალ სახელმწიფოებრივ სტატუსზე მიუთითებს [9].

ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ ქობულეთის უბანში ფართოდ გაიშალა მუშაობა აქ ქართული საგანმანათლებლო ცენტრების, განსაკუთრებით კი ქართული სკოლების გასახსნელად; 1913 წელს ქობულეთში ქართული ეკლესიისა და ადგილობრივი მაჰმადიანი სასულიერო და საერო პირების ერთობლივი ძალისხმევით დაარსდა პირველი ბიბლიოთეკა, რომლის გახსნის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ იმ დროს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), მღვდელი ბენიამინ ლლონტი, ხოჯა ისკანდერ-ეფენდი ცივაძე, გულო-ალა კაიკაციშვილი, ცნობილ ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი და სხვები.¹³

1915 წელს, ამავე ძალთა მონდომებით პირველი ქართული სკოლა გაიხსნა სოფელ ხუცუბანში,¹⁴ ხოლო შემდეგ კი ალამბარში, აჭყვისთავში, ლელვასა და სხვაგან. ხოლო რაც შეეხება სოფელ ზენიტს, აქ ანალოგიურ სიხარულს ადგილი ჰქონდა მხოლოდ 10 წლის შემდეგ, რის შესახებაც ისტორიის მენიერებათა დოქტორ, პროფესორ თეიმურაზ კომახიძის წიგნში „ქობულეთი“ ვკითხულობთ: **„ზენიტის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1925 წელს დაწყებითი სკოლის დაარსება, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანა სოფლის მკვიდრმა მემედ ჯინჭარაძემ... სკოლის პირველი მასწავლებელი გახლდათ მიტროფონე ჯაფარიძე და ნადია ხოფერია, ხოლო პირველი მოსწავლეები იყვნენ: ხუსეინ ბაუჟაძე, ხასან ლლონტი, რიფათ ლლონტი, დურსუნ ბაუჟაძე, დურსუნ გიორგაძე, ხუსეინ ჯინჭარაძე, დურსუნ ოქროპირიძე, ასეი ბაუჟაძე და გულო გიორგაძე“** [10:174].

¹³ ჩვენ ამ ისტორიული მომენტის ამსახველი ფოტოსურათი გადმოგვცა ისტორიულ პირთა სურათების ცნობილმა კოლექციონერმა და მკვლევარმა ლუარსაბ ტოგონიძემ, რისთვისაც მას კიდევ ერთხელ ვუხდით დიდ მადლობას – უ. ო.

¹⁴ მასწავლებელი: ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი არსენ წითლიძე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები References

1. Д. Бакрадзе, Кинтришский участок (Батумской области), ქართული ისტორიოგრაფია, III, მეცნიერება, თბილისი, 1975
D. Bakradze, Kintrishi area (Batumi region), Georgian Historiography, III, Metsniereba, Tbilisi, 1975 (in Russian)
2. А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тифлиси, 1879
A. Frenkel, Essays on Churuk-su and Batum, Tiflis, 1879 (in Russian)
3. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი მაჰმადიანები კინტრიშის ხეობაზე, 1893
Z. Chichinadze, Georgian Muslims in the Kintrishi Gorge, 1893 (in Georgian)
4. უ. ოქროპირიძე, ბათუმისათვის ბრძოლა და მისი ასახვა ქობულეთურ თქმულება-გადმოცემებში, საერთაშორისო კონფერენცია: ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, VIII, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი, ბათუმი, 2017
U. Okropiridze, The Struggle for Batumi and Its Reflection in Kobuleti Legends, International Conference: Batumi, Past and Present, VIII, Publishing house of the Batumi Shota Rustaveli University, 2017 (in Georgian)
5. უ. ოქროპირიძე, ანმყო, შობილი წარსულისაგან, საერთაშორისო კონფერენცია: ჩვენი სულიერების ბალავარი, X, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი, ბათუმი, 2018
U. Okropiridze, Present, Born from the Past, International Conference: The substruction of Our Spirituality, X, Batumi Shota Rustaveli University, Batumi, 2018 (in Georgian)
6. Гомборцы, Исторія 1-го Кавказскаго стрѣлковаго Его Императорскаго Высочества Великаго Князя Михаила Николаевича Баталіона, составил того-же баталіона штабсь-капитан Ф. Арютюновъ, С-Петербург, Типо-литографія И. Висшинскаго, Кавказская 35, 1898
Gomborians, History of the 1st Caucasian Shooter His Imperial Highness Grand Duke Mikhail Nikolaevich Battalion, compiled by the same battalion staff-captain F. Aryutyunov, St. Petersburg, Typo-Lithography of I. Visshinsky, Caucasian str. 35, 1898 (in Russian)
7. Русско-Турецкая война 1877-1878 гг. на Кавказѣ и Малой Азии, составиль Генераль-Маіоръ Б. Колюбакинъ, ординарный профессоръ Николаевской Академіи Генеральнаго Штаба, Часть 1-ая, Издано при содѣйствіи Николаевской Академіи Генеральнаго

- Штаба, С.-Петербургъ, Типо-Литографія А. Г. Розена, Театральная Площадь 2, 1906
 Russian-Turkish War 1877-1878 in the Caucasus and Asia Minor, compiled by General-Mayor B. Kolyubakin, ordinary professor of the Nikolay Academy of the General Staff, Part 1, Published with the assistance of the Nikolay Academy of the General Staff, St. Petersburg, Tipo-Lithography by A. G. Rosen, Teatralnaya square 2, 1906 (in Russian)
8. 1882 წლის დეკემბრის დოკუმენტი რუსეთის სახელმწიფო ბეჭდით, ს. გიორგაძის საოჯახო არქივიდან
 1882 December Document with the Russian State Seal, From the family archive of S. Giorgadze (in Russian)
 9. 1914 წლის 28 მაისის დოკუმენტი რუსეთის საიმპერატორო გერბითა და სახელმწიფო ბეჭდით, ს. გიორგაძის საოჯახო არქივიდან
 1914 28 May Document, with the Imperial Coat of Arms and the State Seal of Russia, s. From the family archive of S. Giorgadze (in Russian)
 10. თ. კომახიძე, ქობულეთი, ბათუმი, 1995
 T. Komakhidze, Kobuleti, Batumi, 1995 (in Georgian)
 11. Liva-i Çürüksu, 232 No 1/v, Nüfus Defter, 13, 1835 წლის ქობულეთის აღწერის ოსმალური რეესტრი, თარგმანი ზაზა შაშიკაძისა, ქობულეთის მუზეუმი
 Liva-i Çürüksu, 232 No 1/v, Nüfus Defter, 13, Ottoman Register of Kobuleti Census of 1835, translated by Zaza Shashikadze, Kobuleti Museum (in Turkish with Georgian translation)
 12. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. 3, 2008
 Essays on the History of South-West Georgia, Achara, Vol. 3, 2008 (in Georgian)